პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1977 ხუთშაბათი 14 აპრილი № 87 (16824) ფასი 2 კაპ. 1977

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ხუთწლედის აღპვიანებები

საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულმა რუსთავის მეტალურგიულმა ქარხანამ კარგი მაჩვენებლებით დაამთავრა საიუბილეო წლის პირველი კვარტალი. ქართველ მეტალურგთა სახელოვანი კოლექტივი დიდ შრომითს წარატებებს აღწევს და მას რესპუბლიკაში იცნობენ, როგორც მრავალი მნიშვნელოვანი პატრიოტული თაოსნობის ინიციატორს.

საწარმოს მიერ წამოწყებულ, შემდეგ რესპუბლიკის მშრომელთა მიერ ფართოდ ატაცებულ ყველა ამ პატრიოტულ თაოსნობას ყოველთვის ერთ-ერთი პირველი ეხმაურება მოწინავე მეფოლადე ენვერ შანიძე, რომელიც ახლა საპირველმაისო შრომითს ვახტზე დგას და ყოველთვის ჩქაროსნულ ნადნობს უშვებს.

სურათზე: მეფოლადე ე. შანიძე. (ზემოთ).

ვ. სოკოლოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

სამაისო ვახტზე

მაღალ მანვენებლებს აღწევენ „ხაქქვანახშირის“ ტუბულის ორკონიკიძის სახელობის შახტის მნგრეველები. ჩინებულად შრომობს მესამე ხაექსპლოატაციო უბანზე მნგრეველთა კომუნისტური შრომის ბრიგადა, რომელსაც გამოცდილი მაღაროელი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ევტიხი ხვანიძე ხელმძღვანელობს. უკვე ორი ათეული წელია, რაც იგი მაღაროში მუშაობს და მთელი ამ წლების მანძილზე თავდადებული შრომის მაგალითს იძლევა.

ევტიხი ხვანიძე და მისი ბრიგადა საპირველმაისო შრომითს ვახტზე დადგა და აკმარა ოთხი თვის დავალება ერთი კვარტალი ადრე შეასრულოს.

სურათზე: მნგრეველთა ბრიგადის ხელმძღვანელი ევტიხი ხვანიძე.

ბ. გურსამიას ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

სოფლის კომუნისტების დიდი მოვალეობა

საქართველოს სსრ პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე ხაზგასმით ითქვა, რომ საიუბილეო წელს საერთო-სახალხო, საერთო-პარტიული ზრუნვა არ უნდა მოაკლდეს რეპუბლიკის სოფლის მეურნეობას, რადგან მის წარმატებებზე დიდად არის დამოკიდებული მრეწველობისა და მთელი სახალხო მეურნეობის საქმის მდგომარეობა, ჩვენი ხალხის კეთილდღეობის შემდგომი ამაღლება.

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის დაჩქარებული განვითარებისათვის, მეათე ხუთწლედის მეორე საიუბილეო წლის გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების წარმატებით შესრულებისათვის საქართველოს პარტიული ორგანიზაციის, მისი ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებული დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებების განხორციელებისათვის ერთიანი ძალით დაირაზმნენ საქართველოს კომუნისტები, ყველა მშრომელი, ვისთვისაც ძვირფასია ჩვენი რესპუბლიკის სახელი და ღირსება!

ამას წინათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა მეტად საქმიანი სხა-ბაასი შაქრის ჭარხლის უხვი სტანდარტული მოსავლისათვის. თათბირზე აღინიშნა, რომ რესპუბლიკა წლითწლობით გადამეტებით ასრულებს შაქრის ჭარხლის მიყიდვის გეგმებს. ამიხელა არახელსაყრელი პირობების მიუხედავად შარშან შაქრის ჭარხლის საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე 368 ცენტნერი იყო. გადაჭარბებით შესრულდა სახელმწიფოსათვის ამ მეტად ძვირფასი ნედლეულის მიყიდვის გეგმა.

მოწინავე მეურნეობების, უხვი მოსავლის ცალკეულ ოხტატთა გამოცდილება და ჩამორჩენილ მეურნეობათა მაგალითები ცხადყოფენ, რომ ჩვენ ამ საქმეში ბევრი გამოუყენებელი რეზერვი გვაქვს, რომ ამ კულტურის თესვა-მოყვანის ტექნოლოგიაში სერიოზული დარღვევებია, ზოგან არ სრულდება აგროტექნიკის წესები.

მეჭარხლეობის რაიონების საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელების, პირველადი პარტიული ორგანიზაციების, ყოველი კომუნისტის საპატიო ვალი ის არის, რომ მათ სათანადო დასკვნები გააკეთონ თათბირზე გამოვლინებული ნაკლოვანებების გამოსასწორებლად, იმისათვის, რომ მოწინავეთა გვერდით არ იყოს არცერთი ჩამორჩენილი მეურნეობა, ბრიგადა, რგოლი, ცალკეული მეჭარხლე. ამ დარგის ეფექტიანი გაძღოლისათვის მუშაობაში უნდა გამოიყენონ გორელ მეჭარხლეთა გამოცდილება, სადაც შარშან 959 ჰექტარიდან თვითეულზე საშუალოდ 440 ცენტნერი შაქრის ჭარხალი მიიღეს. შაქრის ჭარხლის თესვა თითქმის დამთავრდა. ახლა მთავარია ნათესებს აგროტექნიკური წესების სრული დაცვით მოვუაროთ და საიუბილეო წელს უხვი მოსავალი მივიღოთ.

გაზეთებში გამოქვეყნდა რესპუბლიკის მოწინავე მესიმინდეთა მიმართვა საქართველოს ყველა მხვნელ-მთესველისადმი, მესიმინდისა და მექანიზატორისადმი, სოფლის ყველა მშრომელისადმი იმის შესახებ, რომ საიუბილეო წელს სიმინდის უხვი მოსავალი მივიღოთ. „საქართველოში სიმინდი მარცვლეულის წარმოების მკვეთრი გადიდების ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო რეზერვია“, — „კეთილსაღმთო მიმართვაში. აბაშის რაიონის მესიმინდეთა თავდადებულმა შრომამ, მატერიალური წახალისების პროგრესული მეთოდების დანერგვამ რაიონის მესიმინდეები მოწინავე პოზიციებზე გაიყვანა. აქაურმა მესიმინდემ ა. ხოშტარიამ ერთ ჰექტარზე 144,3 ცენტნერი სიმინდი მოიწია, ნ. კუპრეიშვილმა — 148 ცენტნერი, ვ. კუციამ — 129 ცენტნერი. ნორიოს კოლმეურნეობის იმ ბრიგადამ, რომელსაც გ. ჩოჩია ხელმძღვანელობს, 60 ჰექტარი ნათესის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ 75 ცენტნერი მარცვალი მიიღო.

ასეთი მაგალითების მოყვანა ბევრის შეიძლება. მაგრამ არც ის არის დასამალავი, რომ მოწამთმოქმედების დაბალი კულტურის, სიმინდის მოვლა-მოყვანის აგროტექნიკური ღონისძიებების უხეში დარღვევის გამო საზოგადოებრივ მეურნეობათა საკმაო ნაწილი ძალზე მცირე მოსავალს იღებს. შარშან რესპუბლიკაში აგროვადების დარღვევით დაითესა სიმინდის მთელი ფართობის 28 პროცენტი; ნათესების პირველი დამუშავება ვერ უზრუნველყვეს 14 პროცენტზე, მეორე — 32 პროცენტზე. მოუვლელ, დასარეველიანებულ ნათესებში სიმინდი სასილოსად აიღეს. ამ მიზეზით რესპუბლიკამ სულ ცოტა 50 ათასი ტონა სიმინდი დაკარგა.

ახლა სიმინდის თესვა მიმდინარეობს. რაიონების პარტიულმა, სამეურნეო და კონტროლის ორგანოებმა მთელი გულისყური იქითკენ უნდა მიაპყრონ, რომ სიმინდი დროზე და აგროტექნიკური წესების სრული დაცვით დაითესოს. ამასთან უნდა გაძლიერონ კონტროლი ნათესების დროულად და საუკეთესოდ დამუშავებაზე, ყველაფერი უნდა იღონონ ამისათვის, რომ არცერთი ჰექტარი ნათესი არ დარჩეს დაუმუშავებელი.

ხაქართველოს სოფლის მშრომელები, და არა მარტო სოფლის, არამედ ქალაქის მოსახლეობაც დიდი მოწონებით შეხვდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილს რესპუბლიკის ყველა მშრომელისადმი ხორცის წარმოების გადიდების შესახებ. ეს ყველას ღვიძლ საქმედ არის გამოცხადებული ამის თაობაზე რედაქციაში ბევრი წერილი მოდის. სოფლისა და ქალაქის მშრომელები თავიანთ პატრიოტულ მოვალეობად თვლიან ენ რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს აღუთქვაშენ, რომ საპატიო წვლილს შეიტანენ ხორცის წარმოების გადიდების ამ საერთო-სახალხო საქმეში.

საზოგადოებრივ მეურნეობათა ფერმების მუშაკები სულ უფრო მეტი მონდომებით შრომობენ ხორცის წარმოების გადიდებისათვის. ამასთან პირად მეურნეობაში გასუქებულ პირუტყვს დიდი რაოდენობით აბარებენ სახელმწიფოს. ამ პატრიოტულ მოძრაობაში ღლიოდღე სულ ახალ-ახალი ძალები ებმებიან.

ახლა მთავარი და გადამწყვეტი ის არის, რომ საზოგადოებრივმა მეურნეობებმა არ შეანელონ აღებული ტემპი, ამასთან მათ ყოველდღიური დამბარება უნდა გაუწიონ იმ მშრომელებს, რომლებმაც გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს პირად მეურნეობაში გაასუქონ პირუტყვი და სახელმწიფოს მიჰყიდონ მაღალხარისხოვანი ხორცი.

მაღალი მომთხოვნელობით, მთელი პრინციპულობით იყო მსჯელობა ხობში გამართულ თათბირზე, რომელიც კოლხეთის ათვისების პრობლემებს მიეძღვნა.

პარტია და მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობენ კოლხეთის ათვისებას. ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ კოლხეთის დაბლობის რეზერვები სრულიადაც არ არის ამოწურული. 220 ათასი ჰექტარიდან მხოლოდ 80 ათასე ჰექტარი ითვლება ამოშრობილად. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან ცოტაა.

თათბირზე გამოითქვა რწმენა, რომ უახლოეს წლებში კოლხეთი დასაბუთებული კომპლექსური პროგრამის განხორციელების შედეგად კიდევ უფრო აყვავდება, მეტ სარგებლობას მოუტანს ხალხს. ამ საქმეში დიდი და გადაუდებელი ამოცანების წინაშე დგანან კოლხეთის ზონის რაიკომების, რაიხაბჭოს აღმასკომების, სახოფლო-სამეურნეო ორგანოების, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროსა და მის დაქვემდებარებაში მყოფი შესაბამისი ტრესტების პარტიული და საბჭოურნეო მუშაკები, ყველა კომუნისტი და მშრომელი, ვისთვისაც ძვირფასია ის, რომ კოლხეთი სულ მალე მთლიანად ჩადგეს სიუხვის სამსახურში, გადაიქცეს აყვავებულ მხარედ.

დიდმნიშვნელოვან საკითხზე — ჩაის ფოთლის უხვი და მაღალხარისხოვანი ნედლეულის მიღებასა და საუკეთესო ქართული ჩაის წარმოებაზე იყო საქმიანი მსჯელობა ქ. ქუთაისში მეჩაიეთა და ჩაის მრეწველობის მუშაკთა რესპუბლიკურ შეკრებაზე. აქ გადაწყდა, რომ წლეულს სამშობლოს მისცენ 360-365 ათასი ტონა „მწვანე ოქრო“. იმედია მეჩაიეები ამჯერადაც თავიანთ სიტყვას საქმედ აქცევენ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მთავრობის მიერ მიღებული დიდმნიშვნელოვანი დადგენილებებისა და გადაწყვეტილებების შესასრულებლად ჩვენი მშრომელები გაორკეცებული ენერგიით იბრძვიან, რომ მეათე ხუთწლედის მეორე წლის, დიდი ოქტომბრის საიუბილეო წლის, დავალებები კირნათლად შესრულდეს. ამ საქმეში დიდი და გადამწყვეტი მნიშვნელობა კვლავაც კომუნისტების პირად მაგალითს ენიჭება.

შაბათობამდე ორი დღე დარჩა

მზად ხართ?

თბილისი

სრული მზადყოფნით ეგებება ოქტომბრის საიუბილეო და ვ. ი. ლენინის 107-ე წლისთავის აღსანიშნავ კომუნისტური შაბათობის დღეს — 16 აპრილს საწარმოო გაერთიანება „საქელექტრომანქანის“ მეთაური ქარხანა „მიკროძრავის“ (დირექტორი თ. ნოზაძე) კოლექტივი.

შაბათობაზე გამოსული 1150 კაციდან, 580 უშუალოდ პროდუქციას შექმნის. როგორც გაერთიანების პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარემ ჯ. კოხრეიძემ განაცხადა, ამ დღეს ისინი 20 ათასი მანეთის მთლიან პროდუქციას გამოუშვებენ და გამოუშავებული თანხიდან მეათე ხუთწლედის ფონდში 800 მანეთს გადარიცხავენ.

შაბათობის დღეს — 16 აპრილს საამწყობო საამქროში მოეწყობა კონკურსი პროფესიაში საუკეთესო მუშის სახელის მოსაპოვებლად. („კომ.“ კორ.).

ტყავსაბალანტერიო ფაბრიკის უბნებზე ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება შრომის დღესასწაულის ღირსეულად შეხვედრისათვის.

ავანგარდში არიან ოსტატების — ძ. გოტკვაძისა და გ. ნილოსანის ბრიგადები. ამ კოლექტივებმა ვალდებულება იკისრეს შაბათობისათვის შეასრულოს ოთხი თვის დავალება.

კომუნისტური შაბათობის დროს ფაბრიკის კოლექტივი დაამზადებს 15 ათასი მანეთის პროდუქციას, აქედან ნახევარს — დაზოგილი მასალით. ხუთწლედის ფონდში გადარიცხავენ ათას მანეთს.

ცხაკაია

რაიონის მრეწველობის ფლაგმანის — ხალიჩების კომბინატის კოლექტივი მზად არის ლენინური შაბათობისათვის. შაბათობის მომზადების შტაბს შემუშავებული აქვს კონკრეტული გეგმა, რომელიც პარტბიუროს სხდომაზე დამტკიცდა.

შაბათობის დღეს პროდუქციის გამოშვებაზე იმუშავებს 600 მუშა. მეათე ხუთწლედის ფონდში ჩაირიცხება 2.600 მანეთი. კოლექტივის დანარჩენი წევრები იმუშავებენ კომბინატის ტერიტორიის კეთილმოწყობაზე. ამ დღეს დაგეგმილი იქნება 1.000 ძირი მრავალწლიანი მცენარე. (საკ. კორ.).

ფოთი

„ხუთწლედს — ეფექტიანობა და ხარისხი“, „განვახორციელოთ სკკ XXV ყრილობის გადწყვეტილებანი“, „ხუთწლედის დავალებები — ვადამდე“ — ამ ლოზუნგით გამოვლენ ფოთის მშრომელები ლენინურ კომუნისტურ შაბათობაზე. მათ გადაწყვიტეს 16 აპრილი შრომის უმაღლესი ნაყოფიერების დღედ აქციონ.

მნიშვნელოვან წვლილს შეიტანენ გემთშემკეთებელი ქარხნის, წისქვილ-ელევატორის, სხვადასხვა საგზაო ნაგასაგზურის, ფოთის ელექტროაპარატისა და ჰიდრომექანიზაციის ქარხნების კოლექტივები. ბევრი საწარმოს მუშა, მშენებელი, ტრანსპორტის მუშაკი პირობას იძლევა, რომ შრომის დღესასწაულისათვის შეასრულებენ ოთხი თვის დავალებას. მაგალითად, ჰიდრომექანიზაციის ქარხნის ამწყობ-ზეინკლთა ბრიგადებმა, რომლებსაც რევზან ჭყონია და ტარასი მაკალათია ხელმძღვანელობენ, ვალდებულება იკისრეს 10 აპრილისათვის შეასრულონ ოთხი თვის გეგმა.

შაბათობაზე ფოთელები გამოუშვებენ 370 ათასი მანეთის პროდუქციას, რომლის ნაწილსაც ფოზგელი ნედლეულით, მასალებითა და ელექტროენერგიით დაამზადებენ. ხუთწლედის ფონდში ისინი გადარიცხავენ 24 ათას მანეთს, რაც შარშანდელ შაბათობაზე მეტია.

საიუბილეო წელს — სიმინდის უხვი მოსავალი!

ფეჯიბრებაში ჩავებით

წლეულს ტყიბულის ზონის კოლმეურნეობები სიმინდის უხვი მოსავლისათვის იბრძვიან. ამ საყოველთაო ლაშქრობაში აქტიურად ჩაება საწარის კოლმეურნეობა. აქაურ მხვნელ-მთესველებს დიდი სტიმული მისცა მმართველმა, რომელიც ამ დღეებში გამოქვეყნდა.

რაც დრო გადის, ჩვენი კოლმეურნეობის მესიმინდეები და მექანიზატორები უფრო აძლიერებენ სიმინდის თესვის ტემპს. დაბლობ ადგილებში უკვე მოვათავეთ ხვნა-თესვა. ახლა სიმინდის თესვის ფრონტი მთის ფერდობებზე გადავიტანეთ. გაწზრახული გვაქვს ადრეტანური ღონისძიებათა ყველა წესის დაცვით სიმინდის საშუალო მოსავალი ჰექტარზე 40 ცენტნერამდე ავიყვანოთ.

დ. ქათამაძე, კოლმეურნეობის ზონის საწარის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

თესავენ ნაჭაოგარზე

ხობი. (საკ. კორ.). საიუბილეო წელს განსაკუთრებული სახრუნავი აქვთ ხობელ მესიმინდეებს. რესპუბლიკის ყველა მხვნელ-მთესველის, მესიმინდისა და მექანიზატორის, სოფლის ყველა მშრომელისადმი მიმართვის პასუხად მათ გადიდებული ვალდებულება იკისრეს — 4.443 ჰექტარი სამარცვლე სიმინდის ნათესიდან საშუალოდ ჰექტარზე მიიღონ 40 ცენტნერი მარცვალი.

ვალდებულებების შესასრულებლად ახალი ძალით გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება. მექანიზატორთა ბრიგადები ყოველდღიურად სიმინდს 200 ჰექტარზე თესავენ. აღსანიშნავია თორსის სუბტროპიკული კულტურების საბჭოთა მეურნეობის, ქარიატის სატყეო-სანერგე მეურნეობის, ხეთის სტალინის სახელობისა და სხვა კოლმეურნეობების მესიმინდეთა თავდადებული მუშაობა, რომელიც იბრძვიან ჰექტარზე საშუალო მოსავლიანობა გაზარდონ 50 ცენტნერამდე.

გულთბილი მისალმება

„დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავისა და სსრ კავშირში პროლეტარული ინტერნაციონალიზმის გამარჯვების“ საკავშირო სამეცნიერო-თეორიული კონფერენციის მონაწილეებს

ძვირფასო ამხანაგებო!

თქვენ მზიური უზბეკეთის დედაქალაქში შეიკრიბეთ, რათა კოლექტიურად ღონად და მეცნიერულად გააანალიზოთ დიდი ოქტომბრისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის რევოლუციური სკოლა — ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის უმდიდრესი გამოცდილება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ამგვარ კონფერენციებს, თემა, რომელსაც თქვენ განიხილავთ, განსაკუთრებით აქტუალურია.

სსრ კავშირში მარქსიზმ-ლენინიზმის იდეოლოგიისა და ინტერნაციონალიზმის გამარჯვება ჭეშმარიტად საერთაშორისო მნიშვნელობის მონაპოვარია. საბჭოთა საზოგადოების მთელი ცხოვრება, სსრ კავშირის ხალხთა თანასწორუფლებიანი მრავალეროვანი ოჯახის ურღვევი მეგობრობა, მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და სახალხო ინტელიგენციის შთავონებული შრომა — სწორედ ეს არის ხორცშესხმული ინტერნაციონალიზმი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საერთაშორისო პოლიტიკის ინტერნაციონალიზმის ერთ-ერთი უზენაესი გამოვლინება იყო და არის ქვეყნად მშვიდობისათვის ბრძოლა — ყველა ხალხის უდიდესი სიკეთე და თანამედროვე კაცობრობის პროგრესის დიდმნიშვნელოვანი პირობა.

სკკპ XXV ყრილობამ განსაკუთრებული ძალით აღნიშნა, რომ პროლეტარული ინტერნაციონალიზმი მუშათა კლასის, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის მძლავრი, ნაციადი იარაღია.

დიდი ლენინის ანდერძის ერთგული ჩვენი პარტია თვალსაჩინოვით უფრთხილდება და წმიდად ინახავს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ურყევ, ცხოვრებით ნაცად პრინციპებს.

თქვენი კონფერენცია, რომელიც დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის წინ მიმდინარეობს, მოწოდებულია გამოავლინოს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის თეორიისა და პოლიტიკის მთელი სიღიადე მსოფლიო რევოლუციური პროცესის თანამედროვე ეტაპზე.

გისურვებთ დიდ შემოქმედებითს გამარჯვებებს და წარმატებას კონფერენციის მუშაობაში.

ლ. ბრეჟნევი.

ესპანეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, ესპანეთის ყველა კომუნისტს

ძვირფასო ამხანაგებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი საბჭოთა კომუნისტების სახელით მხურვალედ ულოცავს ესპანეთის ყველა კომუნისტსა და დემოკრატს ესპანეთის კომუნისტური პარტიის ლეგალიზაციას.

ესპანეთის კომუნისტური პარტიის ლეგალიზაცია შესაძლებელი გახდა ფაშიზმის წინააღმდეგ, ქვეყნის პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების ღრმა დემოკრატიზაციისათვის კომუნისტთა, მუშათა კლასის, გლეხობის, ყველა ესპანელი დემოკრატის ხანგრძლივი და შეუპოვარი ბრძოლის შედეგად. ამავე დროს ეს ესპანეთის დემოკრატიულ ძალებთან მძლავრი საერთაშორისო სოლიდარობის შედეგი.

ესპანეთის კომპარტიის აკრძალვისა და ღრმა იატაკქვეშეთის, ესპანელ კომუნისტთა წინააღმდეგ სასტიკი რეპრესიების თითქმის ორმოცი წლის მანძილზე ჩვენი პარტია, მთელი ჩვენი ხალხი საბრძოლო სოლიდარობას იჩენდნენ ესპანელი კომუნისტებისადმი, უანგაროდ და ძმურად ეხმარებოდნენ მათ.

ფაშიზმის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლით შედუღაბებული საბჭოთა და ესპანელი კომუნისტების მეგობრობა და სოლიდარობა უძვირფასესი მონაპოვარია, რომელსაც თვალისჩინეოვით უნდა გავუფრთხილდეთ და ვამტკიცოთ საბჭოთა კავშირისა და ესპანელი ხალხების, ჩვენი ქვეყნების თანამშრომლობის, ევროპის მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების ინტერესებისათვის.

წარმატებებს ვუსურვებთ ესპანელ კომუნისტებს ახალი, დემოკრატიული ესპანეთისათვის, მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ურყევი პრინციპების საფუძველზე თავიანთი რიგების შემდგომი განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

დამთავრდა საბჭოთა კავშირ-ავღანეთის მოლაპარაკება

13 აპრილს კრემლში დამთავრდა საბჭოთა კავშირ-ავღანეთის მოლაპარაკება.

საბჭოთა კავშირის მხრივ მოლაპარაკებას აწარმოებდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ს. ა. სკანავი.

ავღანეთის მხრივ — ავღანეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი მუჰამედ დაუდი, ვაჭრობის მინისტრი მუჰამედ ხან ჯალალარი, დაგეგმვის მინისტრი ალი აჰმედ ჰორამი, წყლის რესურსებისა და ენერგეტიკის მინისტრი მუჰამედ მოჰამედ ჯუმა, საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი ვაჰიდ აბდულა.

საფუძვლიანად განიხილეს საკითხები, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირ-ავღანეთის ურთიერთობისათვის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და სხვა დარგებში.

საერთაშორისო პრობლემებზე ერთმანეთისათვის აზრთა გაზიარებისას განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს საერთაშორისო დაძაბულობის შენელების გაღრმავების, დაძაბულობის შენელების პროცესის აზიაზე გავრცელების საკითხებს.

შეთანხმდნენ საბჭოთა კავშირ-ავღანეთის ერთობლივი დოკუმენტები.

მოლაპარაკება მეგობრულ ვითარებაში, ურთიერთგაგებისა და კეთილმეზობლობის სულისკვეთებით მიმდინარეობდა. (საკუსი).

ხუთწლედის აღპვიანებები

საკავშირო ჯილდო — ოჩხამურელებს

ქუთაისი. (საკ. კორ.) ნამდვილი ზეიმი იყო ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობაში. საამისო საფუძველიც აქვნდათ — მეათე ხუთწლედის პირველ წელს წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის აღმავლობისათვის, საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის საბჭოთა მეურნეობამ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა დაიმსახურა.

საპატიო ჯილდო გამარჯვებულ კოლექტივს გადასცა საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პაპუნიძემ. მან მეურნეობის კოლექტივს ახალი შრომითი გამარჯვებები უსურვა.

საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა თ. ცეცხლაძემ მშრომელთა სახელით პარტიას, სამშობლოს აღუთქვა, რომ ძალღონეს არ დაიშურებენ ახალი შრომითი გამარჯვებების მოსაპოვებლად. მათ გადაწყვიტეს წლეულს მოკრიფონ 4.650 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ხოლო ხუთწლედის გეგმა ოთხ წელიწადში შეასრულონ.

მ. გორგილაძე.

13 აპრილი ● „*პრავდის*“ *ფურცლებზე*

პროექტიდან ნაწარმამდე

კეთილი თაოსნობა საჭირეოებს არა მარტო ქებას, არამედ მეფიქრეთ მხარდამჭერასაც, წერს გაზეთი მეთაური წერილში („პროექტიდან ნაწარმამდე“). საჭიროა დროულად და სწორად შეფასოთ ამა თუ იმ მეშაკის ან კოლექტივის კონკრეტული წვლილი საერთო საქმეში, ეფექტიანად განვამტკიცოთ შემოქმედებითი ძიება ორგანიზაციული და ეკონომიური ღონისძიებებით, უნარიანად გამოვიყენოთ მორალური და მატერიალური სტიმულები. მხოლოდ მაშინ უხამეს ორგანულად შეჯიბრება მეშაობა ინიციატივასა და საინქინრო გაანგარიშებებს.

გუშინ „პრავდამ“ დაიწყო მასალების ბეჭდვა რუბრიკით „მოსავლის ესტაფეტა“, სადაც გაგვაცნობს საიუბილეო წელს მიწამთმოქმედთა შეჯიბრების მიმდინარეობას, მოწინავე კოლექტივების გამოცდილებას, მარცვლეულისა და სხვა პროდუქციის მთლიანი მოსავლის გადიდების მომწოფებულ პრობლემებს.

პირველ გვერდზე გამოქვეყნებულია პირველი კორესპონდენცია ერახნოდრის მხარიდან, სადაც იშვა მხვნელ-მთესველთა შესანიშნავი თაოსნობა — ბრძოლა კულტურებისა უდიდესი მოსავლიანობისათვის („ყუბანის დიდი თავთავები“).

ცნობილია, რომ სკოლის სული და გული მასწავლებელია. სწორედ იგი განსაზღვრავს უწინარეს ყოვლისა მოზარდი თაობის სწავლებისა და აღზრდის წარმატებას. და რამდენ დიდია უმაღლესი კადაგოგიური სკოლის როლი, რომელიც კასუხს აგებს ახალგაზრდობის ახალ დამრიგებელთა ნამოყალიბებისათვის.

ბევრი დამსახურება აქვთ ჩვენს უმაღლეს პედაგოგიურ სასწავლებლებს. ნათქვამია პროფესორ ა. ოსოსკოვის სტატიაში („თუ ინსტიტუტი მასწავლებელს ამზადებს“) შესანიშნავი პედაგოგების ბევრი თაობა გამოზარდეს მათ. მაგრამ ცხოვრება სულ უფრო დიდ მოთხოვნებს გვიყენებს. თუ ამ თვალსაზრისით განვიხილავთ უმაღლესი პედაგოგიური სკოლის საქმიანობას, ბევრ ხარვეზს აღმოვაჩენთ. უმაღლესი სასწავლებლები, რომლებიც მასწავლებლებს ამზადებენ, ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ ითვალისწინებენ მომავალს, არა აქვთ ზუსტი პერსპექტიული დებულება. მათი სტრუქტურისა და სასწავლო გეგმების ხშირი გარდაქმნა, ფართო პროფილიდან ვიწრო პროფილზე და პირიქით გადასვლა ყოველთვის არ არის დასაბუთებული. საზოგადოებრობას კვლავინდებურად აღელვებს ისეთი ფაქტები, როცა სკოლებში არ ცხადდება უმაღლესი სასწავლებლის უამრავი კურსდამთავრებული, აგრეთვე მასწავლებლის საქმიანობით დაუკმაყოფილებლობის, გავრცელებული მაგალითებიც როცა მასწავლებლობაზე უარს ამბობენ ისინი, ვინც უკვე იმუშავა სკოლაში.

მაუსალდამე, განაგრძობს ავტორი, კადაგოგიური ინსტიტუტები ჯერ კიდევ ნაკლებად მუშაობენ იმისათვის, რათა გამოსახონ ახალგაზრდათა შორის ნიჭიერი ალმზრდელები, რომლებსაც უყვართ ბავშვები, მზად არიან მთელი თავიანთი სიცოცხლე მასწავლებლის ძნელ შრომას მიუძღვნან. ეს კი თავის მხრივ მოითხოვს უმაღლეს სასწავლებლებში ნამდვილი კადაგოგიური ენთუზიაზმის, ბავშვებისა და სკოლის ნამდვილ კულტის ვითარების შექმნას.

მეექვსე კონტინენტზე მუშაობს ჩვენი, რიცხვით 22-ე, ანტარქტიული ექსპედიცია. მის უზრუნველყოფაში შვიდი ხომალდი მონაწილეობდა. ერთ-ერთ მათგანს, ექსპედიციის ფლაგმანს — სამეცნიერო-საკვლევის გემს „მიხაილ სომოვს“ გაუთვალისწინებელი რამ შეემთხვა. იგი მკაცრი ყინულების ტყვეობაში აღმოჩნდა. იმაზე, თუ როგორ მიმდინარეობდა ეს რეისი, ლაპარაკია რადიოგრამაში, რომელიც „პრავდის“ კორესპონდენტის თხოვნით გამოგზავნეს ექსპედიციის უფროსმა ნ. ი. ტიპაბინმა და ხომალდის კაპიტანმა მ. ე. მიხაილოვმა — „მიზნისაკენ ყინულების გავლით“ (გემ „მიხაილ სომოვის“ უჩვეულო დრეიფი“).

ПРАВДА

საქართველოს სსრ მასწავლებელთა III-4 ყრილობის დელეგატთა საყურადღებოდ!

საქართველოს სსრ მასწავლებელთა IV ყრილობა გაიხსნება 1977 წლის 19 აპრილს, 10 საათზე, საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში (ველიკიშვილის ქ. № 1).

დელეგატების რეგისტრაცია — 17 და 18 აპრილს 8-დან 20 საათამდე, ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის სარკეებიან დარბაზში (რუსთაველის პროსპექტი № 6).

ცნობებისათვის დარეკეთ: 93-27-34, 99-51-46, 93-12-08.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო.

ლექციური პროპაგანდის საბრძოლო ამოცანები

ДЕЛЕ, 14 АПРІЛЬ, ДЕЛІЛІ 10 САЯТЗЕ САКАРТВЕЛОС ССР ВЕЛЕСЕЛІ САБАЗМІС СЫДЕМАЗАТА ДАРБАЗЕЗЕ ГАЙТЕСЕБА САКАРТВЕЛОС ССР САЗОГАДОЕБА „ЦОЧОЕНІС“ ДЕРЕВЕ УРЕЛЕБА.

1972-1975 წლების სახალხო უნივერსიტეტების საკავშირო საზოგადოებრივმა დათვალიერებამ გამოავლინა მთელი რიგი დადებითი ტენდენციები: უნივერსიტეტების მუშაობაში განსაკუთრებული ყურადღება ჰქონდა დათმობილი სხვადასხვა საწარმოების, სასწავლო და კულტურული დაწესებულებების ბაზაზე მუდმივმოქმედი უნივერსიტეტების, მათი მრავალრიცხოვანი ფაკულტეტებისა და ფილიალების ქსელის განვითარებას, სტრუქტურულ მოწესრიგებასა და განმტკიცებას. სახალხო აკადემიების აღმოცენებას, სწავლების დარგობრივ და ხარისხობრივ დიფერენციაციას. რესპუბლიკის მთელ რიგ ქალაქებსა და რაიონებში შეიქმნა საზოგადოებრივ-პოლიტიკური, წმრომელთა კომუნისტური აზროვნის, დამრიგებელთა, მხარეთმცოდნეობისა და ტურიზმის, ბუნების დაცვის და სხვა დარგის სახალხო უნივერსიტეტების ფაკულტეტები და ფილიალები.

საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნა“ მნიშვნელოვნად გაზარდა და ორგანიზაციულად განმტკიცდა. ახლა მის რიგებში 45.756 წევრია, რომლებიც გაერთიანებული არიან 2.816 პირველად ორგანიზაციაში. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ყველა აკადემიკოსი და წევრ-კორესპონდენტი საზოგადოება „ცოდნის“ წევრია და აქტიურად მონაწილეობს მის მუშაობაში. მეცნიერებთან, პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ და სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელ მუშაკებთან ერთად საზოგადოება „ცოდნის“ მუშაობაში მონაწილეობენ საბჭოთა კავშირის გმირები და სოციალისტური შრომის მგმირები, ომისა და შრომის ვეტერანები, ნოვატორები და რაციონალიზატორები, მატერიალური წარმოების წამყვან სფეროში დაკავებული სპეციალისტები.

უკანასკნელი წლების მანძილზე საზოგადოება „ცოდნის“ ორგანიზაციების მუშაობაში ძირითადი და გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ლექციების ხარისხს, მათს მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეს და შინაარსობრივ სიღრმეს. მათს მუშაობაში ძირითადი ყურადღება გამახვილებულია ლექციური პროპაგანდის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებისაკენ. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენში ჯერ კიდევ არიან ისეთი ორგანიზაციები, სადაც ძალიან ბევრს ლაპარაკობენ იმაზე, თუ რამდენი ლექცია ჩატარდა, მაგრამ არაფერს ამბობენ, თუ რა მისცა ამ ლექციებმა მსმენელებს. გადაჭრით უნდა აღიკვეთოს ქრონიკულად გავრცელებული უპასუხისმგებლობა და ფორმალობა ლექციების რეცენზირებისადმი. ამ საქმეში ზედა ჩაგვპარ ფილესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების კომუნიზმი, მეცნიერ-პედაგოგ-ფილოსოფოსთა ასოციაციის, ფილოსოფიის ინსტიტუტის, ენათმეცნიერების ინსტიტუტის, ეროვნული ენციკლოპედიის, ეროვნული ბიბლიოთეკის, ეროვნული ბიბლიოგრაფ

ფაქტები, პროგლემები

მსოფლიოს ქამგეგი

საკადესი და უცხოეთის ქრესის საკგენტოები იუწყებიან

13 აპრილი

ოქტომბრის მაგალითი აღგვაფრთოვანებს

ჯორჯთაუნი, (საკადესი). დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, რომელმაც მსოფლიოს აუწყა ძველი სამყაროს ძირეული გარდაქმნის დაწყება, იყო და არის თანამედროვეობის უდიდესი მოვლენა. განაცხადა საკადესის კორესპონდენტთან საუბარში გაიანის სახალხო პროგრესული პარტიის (ხპპ) გენერალურმა მდივანმა ჩედი ჯაგანმა.

ამოა ბურჟუაზიული იდეოლოგების იდები დაანინონ მისი მნიშვნელობა. ოქტომბრის იდეები და საქმენი მახლობელი და გასაგებია ყველა ქვეყნის მშრომელებისათვის, აღაფრთოვანებენ მათ ბრძოლისათვის.

საბჭოთა კავშირის ისტორიას, ხაზი გაუსვა გაიანის სახალხო პროგრესული პარტიის გენერალურმა მდივანმა, უდიდესი მნიშვნელობა აქვს მთელი კომუნისტური და მუშათა მოძრაობისათვის. მან პრაქტიკულად ცხადყო ხელმძღვანელი როლი პარტიისა, რომელიც შეიარაღებულია მარქსისტულ-ლენინური თეორიით და დემოკრატიული ცენტრალიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებზე აგებს თავის საქმიანობას. მხოლოდ ასეთ პარტიას შეუძლია წაუძღვეს მშრომელებს კომუნიზმის გამარჯვებისაკენ.

ჩ. ჯაგანმა აღნიშნა, რომ თავის საქმიანობაში გაიანის სახალხო პროგრესული პარტია მუდამ ხელმძღვანელობდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის უდიდესი გამოცდილებით. იგი მტკიცედ დგას მარქსიზმ-ლენინიზმის პოზიციებზე და ამით ხელს უწყობს თავისი ავტორიტეტის ზრდას მშრომელთა ფართო მასებში. სახალხო პროგრესულმა პარტიამ, რომელიც აღნიშნავს დიდი ოქტომბრის მოახლოებულ მე-50 წლისთავს, გააააქტიურა კომუნისტური იდეების, საბჭოთა კავშირის მიერ ყველა დარგში მიღწეული წარმატებების პროპაგანდა. იყენებს რა კონკრეტულ ფაქტებს, იგი ამხილებს ბურჟუაზიული იდეოლოგიების თაღდასმებს სხვა კავშირსა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებზე, განუმტკიცებს მშრომელებს რწმენას, რომ იმპერიალიზმი, რომელსაც პირველი ყველაზე საგრძნობი დარტყმა 1917 წელს აგემა რუსეთის პროლეტარიატმა, აუცილებლად დაიღუპება.

თვითნებობის აქტი

პანამის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება

პანამა, (საკადესი). პანამამ ამერიკის სამხედრო პოლიციის მიერ პანამელთა ოჯახის დაპატიმრების გამო ოფიციალური პროტესტი განუცხადა ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფალთ, რომლებიც კონტროლს უწევენ პანამის არხის ზონას. პანამის საგარეო საქმეთა მინისტრმა ნიკოლას გონსალეს რევილამ ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი უ. ჯორდენი გამოიძახა საგარეო საქმეთა სამინისტროში და ზეპირი წარდგინება გაუკეთა. შემდეგ კი საგარეო საქმეთა სამინისტრომ განცხადება გაავრცელა ამ საკითხზე.

პანამის მთავრობას აღამიანის უფლებათა და საკუთარ ტერიტორიაზე პანამელების თავისუფალი გადადგილების უფლების დარღვევად მიაჩნია ამერიკის ხელისუფალთა მოქმედება, რომელთაც დაპატიმრეს პანამელი მოქალაქე ივანსიო ხავიერი ირიბერი, მისი მეუღლე და ორი მცირეწლოვანი ბავშვი.

პანამამ მოსთხოვა ამერიკის მხარეს, რომელიც კონტროლს უწევს ამ რესპუბლიკის ტერიტორიის ნაწილს, სწრაფად და გულდასმით გამოიძიოს მის მიერ დაშვებული თვითნებობის აქტი. პანამის მთავრობა, ნათქვამია განცხადებაში, ვერ შეურიგდება ამგვარ ბოროტმოქმედებას და საერთაშორისო ორგანიზაციებში დასვამს ამ საკითხს.

შეხვედრა თეთრ სახლში

ვაშინგტონი, (საკადესი). თეთრ სახლში გაიმართა შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯ. კარტერის შეხვედრა სსრ კავშირის ელჩთან ამერიკაის შეერთებულ შტატებში ა. თ. დობრინინთან.

საუბრის დროს განიხილეს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის მიმდინარე საკითხები და ორივე მხარისათვის საინტერესო სხვა საერთაშორისო საკითხები.

საუბარში მონაწილეობა მიიღეს ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტმა უ. მონდეალმა, სახელმწიფო მდივანმა ს. ვენსმა და პრეზიდენტის თანაშემწემ ეროვნული უშიშროების საკითხებში ზ. ბჟეზინსკიმ.

ამერიკა ამერიკელთა თვალით

ამხილებენ ანტისაბჭოთა კამპანიას

პროვოკაციული აურზაური „ადამიანის უფლებათა დაცვის“ საბაბით

ვაშინგტონი, (საკადესი). ხალხი ამბობს: „ქვას ნუ ისვრი, თუ მინის სახლში ცხოვრობო“. ეს ანდაზა ძალიან კარგად შეესაბამება ახლანდელ სიტუაციას, როცა შეერთებული შტატები ცდილობს გამოვიდეს ერთი მუჯა ეგრეთწოდებული საბჭოთა „დისიდენტების“ მოქალაქეობრივ უფლებათა“ დამცველის როლში, განაცხადა საკადესის კორესპონდენტთან საუბარში ნავსადგურის მტვირთავთა და საწყობის მუშათა პროფკავშირის თავმჯდომარემ ჯარი ბრაუსმა.

როცა დღეს ამერიკის რადიოს, ტელევიზიასა და ზოგიერთი პოლიტიკოსს ვუსმენთ, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ამერიკის შეერთებული შტატებისათვის საბჭოთა კავშირთან ურთიერთობაში ამაზე აქტუალური არა იყოსა რა. ვიდრე ამ გარეგნრების მოქმედებაა. მაგრამ განსაკორებით საოცარი ის არის, აღნიშნა ჰ. ბრიჯესმა, რომ ამერიკის მთავრობის ოფიციალური წარმომადგენლები მონაწილეობენ ორიოდე საბჭოთა დისიდენტის, გარშემო ატეხილი ხმაურიანი კამპანიის „ჩაჩოებში“. გამოდიან რა მათი ინტერესების დამცველთა როლში, ამავე დროს არავინ არ სვამს კითხვას, ვის ინტერესებს იცავენ და ვის წარმომადგენენ ეს ადამიანები. არიან თუ არა ისინი თავიანთი ერის წარმომადგენლები ან უცხოეთის სახელმწიფოთა

უფლებრივნა და ძალადობის სამყაროში

„დემოკრატიის“ დამცველები

დასავლეთის კაპიტალისტურ ქვეყნებში ხულ უფრო ფართოვდება მშრომელთა საპროტესტო მოძრაობა მონოპოლიების მიერ მათი საარსებო უფლებების ხელყოფის, საწარმოთა „რეორგანიზაციის“ საბაბით მუშათა მასობრივი დათხოვნების, დღითიდღე მზარდი უმუშევრობისა და ცხოვრების სისტემატური გაძვირების წინააღმდეგ.

საზოგადოებრივობის ფართო ფენების ამ სამართლიან ბრძოლას ხელეტეტებით, ცრემლსადენი გაზით, რეზინის, ზოგჯერ კი ნამდვილი ტყვიებითაც ახშობენ ხოლმე. პოლიციის სპეციალური ქვეგანყოფები (სურათზე), რომლებიც „ამა ქვეყნის ძლიერთა“ ინტერესების სადარაჯოზე დგანან, მუდამეამს მზად არიან დემონსტრანტებსა და გაფიცულებს სასტიკად გაუსწორდნენ, უახლესი სამხეოლო აღჭურვილობით დაიცვან ბურჟუაზიული სამყაროს „დემოკრატია“.

ფოტო გაზეთ „ინვ უორკერიდან“ (კანადა).

ინდოეთი:

რატომ დაპარცხდნენ კონგრესისტები?

საერთაშორისო კომენტარი

როდესაც ცნობილი გახდა ინდირა განდის მთავრობის გადაწყვეტილება ვადამდელი არჩევნების ჩატარების თაობაზე, როგორც ინდოეთში, ისე მის ფარგლებს გარეთაც, ეჭვი არავის ეპარებოდა მმართველი ინდოეთის ეროვნული კონგრესის პარტიის გამარჯვებაში. ასეთი პროგნოზის საფუძველს იძლეოდა ქვეყნის სამინაო-პოლიტიკური ცხოვრების ტრადიცია (აქამდე ჩატარებული ხუთსაგე არჩევნებში ეროვნულმა კონგრესმა გაიმარჯვა) და მთავრობის მთელი რიგი სერიოზული მიღწევები სამინაო და საგარეო პოლიტიკაში.

ამავე დროს მმართველი პარტიის გამარჯვებისათვის ხელი უნდა შეეწყო ინდოეთში არსებული არჩევნების მაჟორიტარულ სისტემასაც. როგორც ცნობილია, ასეთი სისტემის პირობებში გამარჯვებულად ის ითვლება, ვინც შედარებით მეტ ხმას მოაგროვებს, რაც უფრო მეტი პარტია და კანდიდატი იღებს არჩევნებში მონაწილეობას, მით უფრო უადვილდება გამარჯვება. შედარებით ძლიერს ვინაიდან მის მოწინააღმდეგეთა ხმები იყოფა. სწორედ ამ სისტემის შედეგად იყო, რომ ინდოეთის ეროვნულმა კონგრესმა საპარლამენტო არჩევნებში ხუთჯერ ზედიზედ გაიმარჯვა, თუმცა არცერთხელ არ მიუღია ამომრჩეველთა ხმების ნახევარიც კი.

ამავე დროს უკანასკნელი 1971 წლის არჩევნების შემდეგ (შეგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის მარტის არჩევნების მსგავსად ისიც რიგგარეშე იყო) ინდოეთის საშინაო-პოლიტიკურ ცხოვრებაში მოხდა მთელი რიგი ცვლილებები: გაიზარდა საარჩევნო ოლქების რიცხვი და ამის მიხედვით დეპუტატთა რაოდენობა საპალატო პალატაში, 522-დან 542-მდე, მკვეთრად შემცირდა პოლიტიკურ პარტიათა რაოდენობა. 1971 წლის არჩევნებში მონაწილეობდა 8 „ეროვნული“ პარტია, 17 რომელიმე ერთი შტატის ფარგლებში მოქმედი პარტია და 21 ლოკალური, აფეთლობრივი მნიშვნელობის პარტია. წლევანდელი მარტის არჩევნებში კი ინდოეთის ეროვნული კონგრესის, ინდოეთის კომპარტიისა და ეგრეთწოდებული პარალელური კომპარტიის გარდა მონაწილეობდა ახლად შექმნილი ბლოკი ჯანატა-პარტი („სახალხო პარტია“). სწორედ ჯანატა-პარტის ბლოკის შექმნამ შეიტანა ახალი მომენტი ქვეყნის საშინაო-პოლიტიკურ ვითარებაში — კონგრესისტებს უკვე აღარ შეეძლოთ მოწინააღმდეგის ბანაკში ქიშპობთა და ურთიერთშუღლით სარგებლობა.

ასეთ ვითარებაში მიმდინარე წლის 5 თებერვალს დილში, რამლოგაგრაუნდის მოიდანზე მიტინგით დაიწყო არჩევნებისწინა კამპანია. პირველ დღეს მიტინგზე თვით ინდირა განდი გამოვიდა სიტყვით. პრესის ცნობით, მმართველი პარტიის მიტინგს 150 ათასი ადამიანი დაესწრო და იგი ხანმოკლე იყო. მეორე დღეს კი 300 ათასამდე ადამიანი უსმენდა ოპოზიციის ლიდერებს. მიტინგმა გვიან ღამამდე გასტანა (როგორც პრესა წერდა, ასეთი ხალხმრავალი მიტინგი ჯერ არ გამართულა დელში). უკანასკნელმა გარემოებამ სერიოზული იმედი მარცვალი დათესა. აქედან მოყოლებული ადგილობრივი პრესა სულ უფრო ნაკლები რწმენით წინასწარმეტყველებდა ინდირა განდის პარტიის გამარჯვებას.

და მაინც ბევრისათვის სრულიად მოულოდნელი იყო ახლო წარსულში ქვეყნის ყველაზე პოპულარული პოლიტიკური მოღვაწისა და ყველაზე დამსახურებული პოლიტიკური პარტიის ასეთი მწყავე დამარცხება. საერთო შედეგების რომ თავი დავანებოთ, კონგრესისტებმა ქვეყნის დედაქალაქ დელში ერთი დეპუტატის ადგილიც კი ვერ მოიპოვეს, ხოლო ხმების დათვლის პირველსავე დღეს ცნობილი გახდა, რომ თავიანთ საარჩევნო ოლქებში დამარცხდნენ ინდირა განდი და მთელი რიგი მინისტრები.

ჯერ კიდევ არჩევნებისწინა პერიოდში ინგლისური „ფაინენშელ ტაიმსი“ წერდა, რომ ინდირა განდი მოუშზადებელი შეხვდა ორ ძლიერ დარტყმას. ჯერ ერთი, ყველასათვის და მათ შორის მთავრობისთვისაც მოულოდნელად ერთ ძალად გაერთიანდა ოპოზიცია. ჯანატა-პარტი უკიე იქცა მიმზიდველ და ყველა იმათ შეაკავშირებელ ძალად, ვისი ინტერესებიც შეილახა საკანონმდებლო წესების პერიოდში, ვინც აღაფოთთა სტერილიზაციის, პოლიტიკამ და ა. შ. მეორე მძიმე დარტყმა კი სოფლის მეურნეობისა და ორგანიზაციის 69 წლის მინისტრის ჯაგჯივან რამის გადადგომა იყო. სწორედ ჯაგჯივან რამი უნდა გამხდარიყო ქვეყნის პრეზიდენტი თუ ალაპაბადის სასამართლოს ეროვნულის შემდეგ ინდირა განდი გადადგებოდა და საგანგებო წესებს არ შემოიღებდა.

როგორც კი წლეულს 2 თებერვალს პრეს-კონფერენციაზე რამმა განაცხადა, რომ იგი გამოდიოდა როგორც მთავრობიდან, ისე პარტიიდან და საკუთარ პარტიას აარსებდა, ადგილობრივმა მომომხილველებმა ეს აქციი შეაფასეს როგორც ინდოეთის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა 1969 წლის ინდოეთის ეროვნული კონგრესის გათიშვის შემდეგ.

რამი იყო ინდირა განდის კაბინეტის ყველაზე ძველი წევრი. ამავე დროს რამი 85 მილიონი „ხარჯანის“ (ხელშეუხებელთა) ერთადერთი ავტორიტეტული ლიდერია. მომომხილველებმა გაიხსენეს, რომ 1971 წელს ინდირა განდის ტრიუმფალურ ჯამარჯვებას დიდად შეუწყო „ხარჯანთა“ ორგანიზაციამ მხარდაჭერამ. უკანასკნელ პერიოდში საგრძნობლად გაუარესდა რამისა და პრემიერის ურთიერთობა. ინდირა განდიმ იგი ჯერ ინდოეთის ეროვნული კონგრესის პრეზიდენტობიდან გაათავისუფლა პარტიის ეგრეთწოდებულ სამუშაო კომისიასთან მოუთათბირებლად, შემდეგ კი თავდაცვის მინისტრის თანამდებობიდანაც გადაყარა.

პარტიიდან და მთავრობიდან გამოსვლისთანავე რამმა გამოაცხადა დემოკრატიისათვის მებრძოლი კონგრესის პარტიის შექმნა და ენერგიულად დაიწყო მთავრობისა და პირადად პრემიერის კრიტიკა. რამის სახით ინდირა განდიმ ეროვნული მასშტაბის მოწინააღმდეგე გაიჩინა, რომელიც უაღრესად პოპულარულია უბარ-პრადეშისა და ბიპარის შტატებში. ეს ორი შტატი კი პარლამენტის დეპუტატთა ერთ მეოთხეს იძლევა.

რამი ითვლებოდა აჯრეთვე ინდირა განდის შემდეგ პოტენციურ პრემიერად, ვიდრე ქვეყნის პოლიტიკურ სარბიელზე არ გამოჩნდებოდა ინდირა განდის 30 წლის ვაჟიშვილი სანჯაი. სანჯაი, რომელსაც ოფიციალურად არავითარი თანამდებობა არ ეკავა, მაღურიდებლად ერეოდა ქვეყნის მმართველობაში. ოპოზიციის მტკიცებით სანჯაებრძ წესების შემოღების შემდეგ ინდირა განდი ინდოეთის მართვა-ვედა პირადი სამდივნოსა და სანჯაის ზემდებით. აპოლიტიკური, ულტრა-ნაციონალისტური ჯანწყობილების სანჯაის გარშემო დაიჩაზმნენ ყველაზე მეშარჯვენე კონგრესისტი ლიდერები, რომლებიც პრემიერის ყოველსმეშმეტი ვაჟიშვილის საშუალებით ათასგვარ უკანონობებს სჩადიოდნენ. სწორედ სანჯაის ინიციატივით გაჩაღდა მმართველ პარტიაში ანტიკომუნისტური კამპანია, რამაც თავის მხრივ საგრძნობლად შეასუსტა პარტიის პოპულარობა და გავლენა. ახლა, როცა არჩევნების შედეგები ცნობილია, სრული დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ სანჯაიმ დათვური სამსახური გაუწია პარტიასა და დედამისს.

ცნობილია, რომ ნებისმიერი არჩევნების შედეგები ბევრად არის დამოკიდებული ფართო მასების ეკონომიკურ მდგომარეობაზე და მთავრობის, ხმართველი პარტიის ეკონომიკურ პოლიტიკაზე. ამ ფაქტორს კი ინდოეთში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

1971 წლის არჩევნებში ინდოეთის ეროვნული კონგრესის ერთ-ერთი მთავარი ლოზუნგი იყო „ვარიბი ტაჰაო“ („ბოლო მოვუღოთ სიღარიბეს“). ლოზუნგი განსაკუთრებით მიმზიდველი იყო ქვეყნის სოფლის მოსახლეობისათვის (318 მილიონი ამომრჩეველიდან 70 პროცენტი სოფლად ცხოვრობს). მაგრამ განვლილ პერიოდში მთავრობამ ამ მიმართულებით ბევრი რამ ისეთი არ გააკეთა, რისი გაკეთებაც შეიძლებოდა გლეხობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ქვეყნის დემოკრატიული წრეები სამართლიან უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ იმის გამო, რომ ნელი ტემპით ხორციელდებოდა სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების პროგრამა, რომელიც ფართოდ იყო რეკლამირებული 20 პუნქტის სახელწოდებით. განსაკუთრებით გაჭიანურდა დემოკრატიული გარდაქმნები აგრარულ საკითხში. შეიქმნა ისეთი ვითარება, როდესაც ადგილებზე ხელისუფლების ორგანოთა და განსაკუთრებით კი სანჯაი განდისა და მისი ჯგუფის კანონსაწინააღმდეგო მოქმედების ირგვლივ ატეხილმა კამპანიამ, ქვეყნის ფართო მასების ყურადღებას ჩამოაშორა მთავრობის მოღვაწეობის მთელი რიგი პოზიტიური შედეგები: სახელმწიფო სექტორის ფარგლებში ინდუსტრიის და განმტკიცება, ამ უკანასკნელის ბაზაზე ქვეყნის უზრუნველყოფა სხვადასხვა სახის ეროვნული პროდუქციით, ფასების შედარებითი სტაბილიზაცია და ინფლაციის შემცირება და სხვ.

რაც შეეხება ოპოზიციის ლიდერს (აფაამად უკვე მთავრობის პრემიერ-მინისტრს) 81 წლის მორარჯი დესაი, მან ჯერ კიდევ მაშინ მიიპყრო ყურადღება, როდესაც ბომბეის პროვინციის შინაგან საქმეთა მინისტრი იყო. დესაი მუდამ გამოირჩეოდა თავისი პრინციპულობითა და ზნეობრივი სიწმინდისათვის ბრძოლით. მან პროვინციაში აკრძალა სპირტიანი სასმელებით ვაჭრობა, კინოთეატრებს აკრძალა ისეთი ფილმების ჩვენება, რომლებიც ახალგაზრდებს კარგ მაგალითს არ აძლევდა, შეამცირა რესტორნების რიცხვი და დაუწესა სამუშაო რეჟიმებები ღამის 12 საათამდე და სხვ.

შემდეგ მ. დესაი ცენტრალური მთავრობის წევრია, როგორც ფინანსთა მინისტრი. ამ თანამდებობაზე მან თავი გამოიჩინა როგორც ნიჭიერმა ფინანსისტმა. 1967 წელს დესაი ხდება ი. განდის მოადგილე მთავრობაში, მაგრამ 1969 წელს უთანხმოება მოსდის მასთან და სტოვებს როგორც პარტიას, ისე მთავრობას. და მაშინ, ალბათ, ბევრი ვერც იფიქრებდა, რომ რვა წლის შემდეგ იგი ინდოეთის მთავრობას სათავეში ჩაუდგებოდა.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ოპოზიციასა და მთავრობას შორის თათბირმა არ ყოფილა დაგვა საგარეო პოლიტიკის სფეროში. როგორც ამ რამდენიმე დღის წინათ ინდოეთის ავალი მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბიპარი ვაჯპაიმ განაცხადა, უცვლელი რჩება ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ძირითადი ელემენტები და სტრუქტურა. ეს მინისტრმა ინიშნა, რომ ინდოეთის საგარეო პოლიტიკა მუდამ ეყრდნობოდა ფართო ეროვნულ თანხმობას. ამას მოწმობს აგრეთვე ახალი მთავრობის პირველი საერთაშორისო აქციები: საბჭოთა კავშირის ელჩისა და ინდოეთის საგარეო საქმეთა მინისტრის შეხვედრა, საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მიწვევა ინდოეთში. პრემიერ-მინისტრ მ. დესაის მიერ მიუმხრობელი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების წინაშე წარმოთქმული სიტყვა და ის გულწრფელი შეფასება, რომელიც ამ დღეებში მიეცა საბჭოთა-კავშირ-ინდოეთის 30-წლიან თანამშრომლობასა და მეგობრობას.

ხ. ცინცაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხვედრები, შთაბეჭდილებები

ფენომენალური სტარტი — საარბრიუკენის თეატრში გამართული პირველი სპექტაკლის შემდეგ (22 მარტს) სწორედ ასეთი ფრაზა ითქვა ოფიციალურ შეხვედრაზე. იგი აბსოლუტური სიზუსტით შეესაბამება სინამდვილეს: მარფლაც ტრიუმფული დასაწყისი იყო და, ჩვენს გასაგებად, ასეთივე დასასრული— დიუსელდორფის თეატრში.

შარშან მოსკოვში გამართული გასტროლების შემდეგ რუსთაველის თეატრის სპექტაკლის „ალეკასიური ცარცის წრის“ გამო მრავალი წერილი დაიწერა როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ, მათ შორის გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაშიც. ასე რომ, საზოგადოებრივობა ერთგვარად შემზადებული (განსაკუთრებით საარბრიუკენში) იყო.

22 მარტს პიროველმა რეპეტიციამ დილის 5 საათამდე გასტანა. რეჟიორალური და სრულიად სახელმწიფო ტელევიზია უსმაურად ელოდა ამ რეპეტიციებს, იაკ, რომ არაფრით არ უშლიდა ხელს ნორმალურ მუშაობას, არც განაფეთებთ და არც აპარატურის ხმაურითა და გადაადგილებით. ფაქტიურად, სპექტაკლი რეპეტიციას გადაეგ. ამ საღამოს მოვიდა საარის მხარისა და საარბრიუკენის ელიტური საზოგადოება, მინისტრ-პრეზიდენტის და ობერ ბურგომისტრის მმართველობა ჩვენთვის ცნობილი ოსკარ ლაფონტენის მეთაურობით, ფურნალისტები, ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწენი.

ცნობილია, რომ ყოველი სპექტაკლი ყოველ საღამოს ახალი გამოცდის წინაშე დგას ხოლმე, მსახიობიც ასევე ხელახლა იწყებს ახალი მაყურებლის გულის მონადგომას, მაგრამ როცა დგეხარ სრულიად უცნობი აუდიტორიის წინაშე, თამაშობ იმ ენაზე, რომელიც არავის არ ესმის და თან გერმანელი ბერტოლდ ბრეჰტის საყოველთაოდ გახმაურებულ პიესას, დამერწმუნეთ, ამ მღელვარებას არაფერი შეედრება. ჩვენთან ერთად სამხრეთელად ღელავდნენ საარბრიუკენის თეატრის მსახიობები და რეჟისორები, რომელთა გულითადმამ, ყურადღებამ, დელიკატურობამ ამოცანის სირთულე ნაწილობრივად შეგვიმუბუქა. ეს მათი დამსახურება იყო, რომ თავიდანვე ძალდაუტანებელი ზრუნვის ქვეშ მოვექეცით. მანინს ფრანკფურტის აეროდროზე ისინი დაგვხვდნენ ყვავილებითა და ტრანსპარანტებით, რომლებზეც „ქართულად ეწერა მისალმების სიტყვები, სწორედ ისინი მოეროდნენ ქართულად „სულიკოს“; მთელს გზაზე მანინს ფრანკფურტიდან საარბრიუკენამდე ტელევიზიის პატარა, სწრაფი ავტობუსი წინ მიდიოდა და ამ პლაკატებსა და ტრანსპარანტებს წინ გაახვევდრებდა.

...პირველი ტაში მაშინვე გაისმა, როგორც კი ე. ლოლაშვილმა გერმანულ ენაზე გამოაცხადა: „დერ კაუკაზიშე კრაიდეკრაიზ“. მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისი იყო. პირველი მოქმედების (სპექტაკლი ორ მოქმედებად გადაიკეთა რ. სტურუამ) ყოველი ეპიზოდი, ყოველი მუსიკალური ნომერი ცხოველად აღიქმებოდა. გ. საღარაძის და ი. გოგიტიძის გამორნეა (ყარისკაცზე ამბედრებული ეფრეიტორი, ბოგრიტი ხელში) უმაღლეს ტაშით შეხვდა აუდიტორია. როგორც ჩანს, აქ სხვა ქვეტექსტი იგულისხმა მაყურებელმა. ამას მოწმეობენებს ის გარემოება, რომ არც თბილისში და არც მოსკოვში ამ შემოსვლაა ასეთი რეაქცია არ ახლდა. იმ პირველ საღამოს გ. საღარაძემ და ე. ლოლაშვილმა ისე ითამაშეს, როგორც ირასოდეს. მათ ტონი მისცეა სპექტაკლის გამაჯვებას. მოქმედების განვითარებასთან ერთად ცხოველუდებოდა ინტერესი. ყველაფერი ტრაგედიო ალმოჩნდა: სპექტაკლის გადაწყვეტა, მთელი კოლორიტი და ატმოსფერო ახალი თეატრალური სამყაროსი, მისი მჩქეფარე რიტმი და მგზნებარება.

ისიც უჩვეულო იყო, რომ პირველი და მეორე მოქმედების დასაწყისში მსახიობი და რეჟისორი ვერნერ ვაქსმუტი (რეჟისორი რუსთაველის თეატრში დადგმული „ნათან ბრძენისა“) მოკლედ, გონებამახვილურად გადმოგვცემდა პიესის შინაარსს. რ. ჩხიკვაძის ანდაზის მიერ შესრულებულ სიმღერას „იტალიური სტილით“ ისეთი მჭეხარე და ხანგრძლივი ოვაცია მოჰყვა, რომ სპექტაკლის გაგრძელება შეუძლებელი შეიქნა: არაფერმა არ გასჭრა მაყურებლზე — არც დიალოგის გაგრძელებამ, არც პანტომიმურმა სცენებმა. ტაში დაუკრულებლად გრძელდებოდა. მაშინ ქ. ლოლაშვილი იძულებული გახდა (ისარგებლა სპექტაკლის წამყვანის პრიორიტეტით) პირდაპირ ენაზე ეთქვა — გამეორება შეუძლებელია, მიგაცეთ მსახიობებს თამაშის გაგრძელების საშუალება. სპექტაკლის დამთავრების შემდეგ მაყურებლმა თითქოს დაკარგა დროის შეგრძნება, არავინ არ სტოვებდა დარბაზს, არავინ არ იყო გულგრილი. თვით მსახიობებს რომ არ ეგრძნობინებინათ მაყურებლისათვის გამოსვლა ალარ შეგვიძლია — ალბათ, დაუკრულებლად გაგრძელდებოდა ეს მეზნებარე, ხმაურიანი, გულწრფელი მისალმება.

მეორე დღეს ადგილობრივი გაზეთი „საარბრუკენ ციტუნგი“ წერდა: „...ეს იყო ზეიმი, ოდნავ პათეტიკური, ეოტითი გულის ამაჩუყებელი და ძალზე ბედნიერი... თუ ამ წარმოდგენას ერთი სიტყვით დავახასიათებთ, კელავ სიტყვა ზეიმი წამოიკრება, სახალხო ზეიმი — ალსავსე სპონტანურობით, კომედიანტურობით, გროტესკითა და გრძნობებით, ირონიითა და ცრკისათვის დამახასიათებელი თავბრუდამხვევი ტემპით... ყველაფერი თანმიმდევრულად სტილიზებულია, გადმოცემულია მაღალმხატვრული ფორმით და იმდენად შეთვისებულ-შესისხლხორცებული, რომ ძალდატანების რიმე კვალი ვამჩნეოლია და თავისუფალი თამაშის სახე იღებს... როგორც ბრეჰტი ამბობს „კლასიკოსის შეცვლა შეიძლება, თუ შეცვლის ძალა შეგწევს“, და ქართველებმა დაამტკიცეს, რომ მათ ამის ძალა შესწევთ. ის ფაქტი კი, რომ ეს ილუზიის თეატრი არ არის, თუმცა კლასიკოს ბრეჰტის მოთხოვნას გაუცხოების ეფექტისა (მართალია ძალზე კომენტიტორად) იგი სავსებით შეესაბამება, მიღებულ სიამოვნებას კიდევ უფრო ადიდებს... მსახიობები, უშუალო „სხეულებრივ ენას“ ან მიმიკას ელეგანტურობასთან აკავშირებენ. ისინი მოძრაობენ მოცეკვავის სიზუსტით, მსახიობური ტემპერამენტით აზვირთიდებან და ამავე დროს თავისი თავის პაროდირებას ახდენენ“.

„დი ველტი“— სრულიად ფედერაციული გაზეთი, ფრიად საგულისხმო სათაურით („ბობოქარი რომანტიზმი ხალხური საწახაობისა“) გამოქვეყნებულ წერილში წერდა: „რ. სტურუამ ამ სპექტაკლში ერთმანეთს შეუთავსა ხალხური და დასავლური ელემენტები... ჩაურთო ამპროვიზაციები, თანამედროვე შოუ-ეფექტები და გამოვიდა მაღალი ფედერადობის, სიცოცხლით ალსავსე ნაწარმოები, რომელიც ტრეები და მსახიობები, აქ იმართება მსოფლიო ბაზრობები, ვერნისაჟები (ქალაქში ხელოვნების და კულტურის მრავალი მუზეუმია). გაააგებია: აქაური მაყურებელი უფრო გათვითცნობიერებულია თეატრალურ ცხოვრებაში და გულმოყრეტების გამოც უფრო სნობისტური. ამ საოამის სპექტაკლზე მოვედნენ გამოჩენილი თეატრალური კრიტიკოსები ჰამბურგიდან, მაინის-ფრანკფურტიდან, შტუტგარტიდან, ანლოს მდგარე ქალაქების მკრები (რაინ ვესტფალიის ცენტრს დიუსელდორფს მოეგზინა კოლონი, დორტმუტი, დიუსბერგი. ეს ყველაზე მჭიდროდ დასახლებული რეგიონია ფედერაციულ რესპუბლიკაში).

მეორე, — განსხვავებით საარბრიუკენისაგან, სადაც ასე თუ ისე იცნობენ ქართულ თეატრალურ, მუსიკალურ ქორეოგრაფიულ ხელოვნებას და საშემსრულებლო ოსტატობას, აქ, დიუსელდორფში აბსოლუტურად არაგვითარი წარმოდგენა არა აქვთ არა თუ ქართულ თეატრზე, არამედ საერთოდ ქართულ კულტურაზე და ჩვენს რესპუბლიკაზე. მრავალრიცხოვან სოუბრებში ჩვენი ოპონენტები გაოცებულნი იყვნენ იმით, რასაც ჩვენ ვეუბნობდით ქართულ თეატრზე, განათლების სისტემაზე, საბჭოთა საქართველოს ცხოვრებაზე. ყველაზე მეტ გაოცებას იწვევდა ის ამბავი, რომ ჩვენ ქართულ ენაზე ვთამაშობდით სპექტაკლს „როგორ? განა თქვენ თბილისში ქართულ ენაზე ასრულებთ სპექტაკლებს, საერთოდ არსებობს კია ნაციონალური თეატრები, რომლებიც თავიანთ მშობლიურ ენაზე თამაშობენ?“, — გაკვირვებულნი კითხულობდნენ ისინი. აქაც ყოველი ეპიზოდის დასასრულს ხანგრძლივი ტაში ისმოდა, ხოლო როცა მეორე მოქმედებაში რ. ჩხიკვაძე გამოჩნდა, მას აღტაცებით შეეგება აუდიტორია, რამაც სრულიად მოულოდნელი ეფექტი შექმნა — თითქოს მაყურებელმა იცნო რ. ჩხიკვაძე (რაც, ცხადია, გამორიცხულია). დიუსელდორფის მაყურებელს ცალხელას უწოდებენ ტაშისადმი საარაკო სიძუნწის გამო. ამჯერად ეს ყველაზე მზრუნველ მაყურებელი და დაუსრულებელი ოვაციის მოყვარული აღმოჩნდა. მოწვეული სტუმრები დიუსელდორფის თეატრის თანამშრომლებს ეძებენენ, რათა მათთვის მადლობა ეთქვათ საბჭოთა კავშირიდან ასეთი სპექტაკლის ჩამოტანისათვის. და როცა მათ ვერ ხვდებოდნენ, კაბელდინერებს უხდიდნენ მადლობას. განაცვიფრებელნი იყვნენ ი. გიგოშვილის თამაშის პლასტიკური სილამაზით და სულიერი სიღრმით, მსახიობების ფილიგრანული ოსტატობით. შეუძლებელია, — ამბობდა კულისებში ამოსული ერთი დიუსელდორფელი პროფესორი პლასტიკური ხელოვნებისა, — რომ მსახიობმა ისწავლოს ამგვარი პლასტიკური თამაში, უეჭველია, ეს ბუნებრივი ნიჭია, ხელოვნებიდან ვირტუოზობამდე მიყვანილი. აქაური მსახიობები ნახევრად ხუმრობით, ნახევრად სერიოზულად ამბობდნენ — პროფესია უნდა გამოვიცვალოთო.

საერთო აზრი ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს — რუსთაველის თეატრმა შექმნა ახალი ეპოქა ბრეჰტის დრამატურგიის განსახიერებაში, სადაც რეჟისორის ფანტაზია და ორიგინალური აზროვნება, მსახიობთა, კომპოზიტორის და მხატვრის დიდ ნიჭს ეყრდნობა. ეს არის სპექტაკლი-დღესასწაული, რომელიც ადამიანებს ანიჭებს ბედნიერებას, განაცდევინებს ხელოვნების დიდ ძალას, რომელსაც ყოველგვარი ბარიერის გადალახვა შესწევს...

ნ. გურაბანიძე.

სურათზე: დიუსელდორფი. ქალაქის ცენტრალური ნაწილის ხედი.

სპექტაკლი — დღესასწაული

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში შოთა რუსთაველის სახელობის თეატრის გასტროლების ეკო

სამსაათნახევრის განმავლობაში გასაგებად გესაუბრებათ სრულიად უცხო ენაზე! ფესტი და მიმიკა სცვლის სიტყვას, ხოლო შესანიშნავი აქტიორული შესრულება პიესის მეორე ნაწილსაც კი — საუსეს უამრავი დიალოგით — თვალწარმტაც თეატრალურ სანახაობად გადაქცევს“.

„გფრ-საბჭოთა კავშირის კულტურული კავშირის საზო

ᲔᲚᲐᲓᲘᲡ ᲡᲣᲜᲗᲥᲕᲐ

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ სამშობლოს ჰომეროსის ქვეყნიდან სასურველი სტუმარი იწვია — ახალგაზრდა ბერძნული თეატრი „ამფი-თეატრო“.

დღემდე მსოფლიო ხალხთა დაუცხრომელი სიყვარულისა და პატივისცემის საგანია ელინური კულტურა და მისი შემოქმედი ბერძენი ხალხი. ქართველი ხალხიც მრავალსაუკუნოვანი „ელინური ინტერესით“ შეხვდა თბილისში თანამედროვე ბერძენთა გამოჩენას.

„ამფი-თეატრო“ ახალგაზრდა დასია, სულ ოცი წლისა. ახალგაზრდაა მისი დამამარსებელიც—ათენელი რეჟისორი და ფილოსოფოსი სპიროს ევანგელატოსი, რომელიც დღემდე სათავეში უდგას თავის თეატრს.

ბერძნებმა თბილისელ მაყურებელს ორი სპექტაკლი — „ეროტოკრიტოსი“ და „ოდისეა“ უჩვენეს.

პირველი წარმოდგენა XVII-საუკუნის ახალბერძნული ლიტერატურის კლასიკოსის კრეტელი ვიცენძოს კორნაროსის პოემის მოტივებზე აგებული (თავის მხრივ კორნაროსმა „ეროტოკრიტოსი“ ფრანგული რომანის — „პარისისა და ვიენას“ მოტივებზე დაწერა).

წარმოდგენა ეძღვნება, ასე ვთქვათ, „მარადიულ თემას“ — სიყვარულს. მთავარი გმირები არიან ეროტოკრიტოსი და არეთუსა, რომელთა თავდავიწყებითი და თავგანწირული ტრფიალება მთავარ მოტივებში რომეოსა და ჯულიეტას რომანს მოგვაგონებს. როლებს „სამი დრო-ჟამის“ მიხედვით სამ-სამი მსახიობი ასრულებს: ეროტოკრიტოსი —სტატის კაკავანი, კოსტას ბაბისი და ნიკოს ბუსდუკოსი; არეთუსა — ალიკი ალონდიდუ, ალიას ლამბრიდუ და ლიდა ტასოპულო. მაგრამ საშემსრულებლო ხელოვნება მაყურებლის გულწრფელ სიამოვნებასა და სიხარულს იწვევს. შთამბეჭდავი სახეები შექმნეს ალრეთი ალეკაზის სტავროკისმა (ჭერაკლისი, არეთუსას მამა), ტეტი სკინაკიმ (არეთუსას დედა), რიკა სიფაკიმ (არეთუსას გამდელი), მიხაილის მიტრუსისმა (პოლიდოროსი), ოდგა სტავრაკამ (ეროტოკრიტოსის დედა), გიორგოს ციდიმისმა (ეროტოკრიტოსის მამა).

სპექტაკლი თავიდან ბოლომდე გამსჭვალულია მარძნობიარე ლირიზმით, სიყვარულის გამაკეთილშობილებელი ძალმოსილებით, მაღალი ჰუმანიზმით და ოპტიმიზმით.

საგანგებო ყურადღების ღირსია მეორე წარმოდგენა — „ოდისეა“. ეს ბენეფისიც არის, თეატრისა ამიტომ, რომ სკვინაზე გენიალური ჰომეროსის ნაწარმოებია. ქართველი მკითხველი კარგად იცნობს „ოდისეას“ და კარგადაც მოეხსენება. რამდენად საამბოხო ესოდენ უზმორესი პოეტური ქმნილების თეატრალიზება ან ინოსცენირებაზა.

მაგრამ „ამფი-თეატრომ“ ყოველგვარი იჩქი დასაწყისშივე გადალახა და მაყურებელი ჭეშმარიტ თეატრალურ ხელოვნებას აზიარა. სპექტაკლ „ოდისეაში“ ჩვენ ნახეთ და განვიცადეთ ჰომეროსის „ოდისეას“ ყველა ძირითადი ასპექტი. ყველა პერსონაჟი („ანთროპომორფიზირებული ღმერთებიც“ და „საკუთრივ ადამიანებიც“) ერთსულოვან, მკვრივად შეკრული ანსამბლურობით სრულქმნილად ასრულებს თავის სახელოვნებო ფუნქციას.

ბრწყინვალეა თვითონ ოდისეუსი (მსახიობი ნიკოს ბუსდუკოსი). ეს არის აჯანყებულ ბუნებასთან მებრძოლი კაცი, რომელსაც ოცი წელია სამშობლო და ღვაძლი ოჯახი არ უნახავს. მისი ტანჯვა, ფიზიკური ყოველისა, სწორედ „მშობლიურ კვამლზე“ დარდი, ოდისევსი მეფეა, მაგრამ იმავე დროს „მეორგოსია“ — მიწის მუშა. სწორედ „მიწის კაცობა“ არის საფუძველთა საფუძველი ჭეშმარიტი პატრიოტიზმისა. ხოლო „მიწის კაცი“ რომ „მშობლიურ მიწაზე“ დაბრუნდეს, მან მის წინააღმდეგ პოსეიდონის კაპრიზით (ადალარდნილი ზღვა უნდა დამარცხოს და მოთვინიეროს. ამიტომ, უნდა, არ უნდა, იგი „მიწის კაცობის“ გარდა „ზღვის კაცადაც“ უნდა გადაიქცეს, არა და უნდა განადგურდეს. ეს არის კაცის (და მთელი კაცობრიობის) გამოცდა ბუნებასთან ბრძოლაში.

„ალიადას“ მკითხველმა იცის, რომ ოდისევსი ომისა და სისხლსათხევის დედოსტატია, ახლა კი ბევრჯერ დაამტკიცებს, რომ მას მახვილის გარდა შესძლებია ოსტატურად მოიხმაროს ნაჯახიც, ჩიქურიც, საბელიც, საპრეთელიც. იგი ყოფილა მეომარიც, მჭედელიც, დურგალიც, ქვის მთლელიც, ვეშმშენებელიც, მთიბავიც, მესაქონლეც და მხვნელ-მთესველიც. იგი არის მოაზროვნეც და მოქმედიც, „თეორეტიკოსიც“ და „პრაქტიკოსიც“. სწორედ ასეთი „მთლიანობის“ მქონე კაცს (და კაცობრობას) შეუძლია კაპრიზებით სავსე ბუნების სტიქიონთა დაძლევა, ანუ „ბუნებაზე გაბატონება“ ყველგან — ციისქვეშეთში—ზღვაზეც და ხმელეთზეც. ასეთია „ოდისეაც“ (ნაწარმოები) და ოდისეაც (ფეგურალური და ზოგადი მნიშვნელობით — ფეთრაკებით აღსავსე თავგადასავალი). ოდისევსი გადის ლაგამაწყვეტილ ზღვაზე. გადის, ვითარცა წ�არობრეული შემდგომდროინდელი მაგელანებისა, კოლუმბებისა, სინდბადებისა და რობინზონებისა.

„ოდისეა“ შეიძლება ორ ნაწილად გავყოთ: პირველი ნაწილი— ოდისევსი ბუნებასთან ბრძოლაში, და მეორე — ოდისევსი საშინელოში დაბრუნებული. „ამფი-თეატრის“ პირველი ნაწილი აირჩევეთ: ოდისეფსი და ბუნება, კაცისა და საძყაროს ჭიდილი, და წერტილიც იქ დაესვამს. სადაც ადამიანს (ზნორეებითა და მოქმედებით მთლიან ადამიანს) აჯანყებულ, გაჭირვეულებულ ბუნებასთან ბრძოლა ღირსეული ძალებისა ან ობიექტურ ინტერესებთან დაუმთავრებია. ეს არის ჭეშმარიტი ანთროპეზი ადამიანური სიკეთისა და ცხოველმყოფელი ნიჭიერებისა!

ნიკოს ბუსდუკოსის გვერდით შესანიშნავ სახეებს ქმნიან: ლეფტერის ვოიაცისი (ათენა, მენტორი), სტატის კაკავანი (ტელემაქი), ოლგა სტავრაკი (პენელოპე), ტიტი სკინაკი (ნიმფა კალიფსო), სტეფანოს კრიკალიანი (ნესტორი), ალიას ლამბრიდუ (ნავზიკაა), ალექსის სტავრაკისი (პოლიფემი), ლიდა ტასოპულო (ცირცეა).

სტუმრებმა დაამტკიცეს, რომ სახელოვან ანტიკურ-ელინურ ხელოვნებას დღევანდელ საბერძნეთში ღირსეული „დიადოხოსები“ (მემკვიდრეები) პყოლია. ხანგრძლივი სიცოცხლე მათს ხელოვნებას!

Ლ. ᲡᲐᲜᲘᲙᲘᲫᲔ,
მწერალი, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. თბილისის უნივერსიტეტის ძველი მსოფლიოს ისტორიის კათედრის გამგე.

* * *

ᲡᲣᲠᲐᲗᲗᲣᲚᲘ: სპექტაკლ „ოდისეას“ სცენა. ცენტრში, მსახიობი ნიკოს ბუსდუკოსი ოდისევსის როლში.

ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘ — ᲡᲝᲤᲔᲚᲡ

ᲪᲐᲑᲔᲠᲘ. (საკ. კორ.). „სოფლის მეურნეობის კადრების სამეცნიერო“ — ასე ეეახლიან ცაბერის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმს. მის აუდიტორიებში სოფლის მეურნეობის მრავალი საუცხოესო სპეციალისტი აღიზრდა.

ამას წინათ ტექნიკუმში მორიგი სახელმწიფო გამოცდა მოეწყო. ნინუბელად მომზადებული მოვიდნენ გამოცდებზე მეხილეობა-მევენახეობის განყოფილების მოსწავლეები — ოცდასამიდან ცხრამ სასწავლებელი წარჩინებით დაამთავრა. ძირითად პროფესიასთან ერთად კურსდამთავრებულებმა ტრაქტორისტ-მემანქანის მოწმობაც მიიღეს.

ᲣᲜᲒᲠᲔᲗᲨᲘ, ᲡᲐᲫᲘᲛᲝ ᲡᲐᲤᲚᲐᲕᲨᲘ...

ᲢᲧᲘᲑᲣᲚᲘ. (საკ. კორ.). უნგრეთში, ბუდაპეშტის სამხრეთ-დასავლეთით არის პატარა ქალაქი კომლა. აქ საძმო სფლავში განისვენებს ქართველი მეომარი, ტყიბულის მკვიდრი ბენია ლეონტის-ძე ბოჭორიშვილი. დიდ სამამულო ომში ქერჩიდან ბუდაპეშტამდე ბრძოლის სახელოვანი გზა განვლო ბ. ბოჭორიშვილმა. გამარჯვება უკვე მოახლოებული იყო, რომ ქართველი ვეკაცი მტრის ტყვეობამ განგმირა კიბეას განთავისუფლებისათვის გაფფორებულ ბრძოლაში.

შვილების დიზრდაში და ქმრის სფლავის ძებნაში გაეალარავდა ბენიას მეუღლე იზოლდა. სად არ მიაკითხა, ვის არ მისწერა, მაგრამ ამაოდ. უკეზოუკელოდ დაკარგულის კვალს ვერ იქნა და ვერ მიაგნო. და აი ახლახან ტყიბულში ცნობა მოვიდა. ოჯახს ატყობინებდნენ დაღუპულის ადგილსამყოფელს.

იზოლდა ბოჭორიშვილი შვილებთან ერთად უნგრეთში, ქმრის სფლავის სანახავად გაემგზავრა. მაღლიერმა უნგრელებმა საქართველოდან ჩასული სტუმრები გულთბილად მიიღეს, ძვირფას საფლავთან მიიყვანეს.

ეოლმა და შვილებმა ფაქიზად მოგლილ საფლავს მშობლიური მიწა მოაბნიეს.

ᲨᲔᲛᲝᲗᲮᲕᲔᲕᲐ

ᲛᲔᲖᲝᲒᲚᲔᲑᲛᲐ ᲛᲘᲣᲡᲬᲠᲔᲡ

ᲮᲝᲒᲘ. გადმა საჯიკოს საშუალო სკოლის მასწავლებელი ბალვა დარსაველიძე გაკვეთილების დამთავრების შემდეგ შინ დასასვენებლად წავიდა. სახლიდან ვედროები გამოიტანა და ჭისკენ გაემართა წყლის ამოსაღებად. ვედრო ჭაში ჩაუშვა, და როცა წყალი ამოჰქონდა, ჭა ჩაინგრა, ცემენტის გვიმმა ადამიანი თან ჩაიტანა, ზვიდან ხრეში და მიწა დაეყარა.

შ. დარსაველიძე არ დაიბნა. ღონე მოიკრიბა და ყელიდან გვიმზე ამოფეფხვდა, მაგრამ წყალი მაინც ყელამდე სწვდებოდა. მიწის ზედაპირიდან იგი ჭაში ამყოფებიდა 15 მეტრის სიღრმეზე. აქედან კი საძიელად მეზობლების მოხმობა ძნელი იყო...

შემთხვევის ადგილზე გაჩნდნენ ავტომძღოლი ბ. ნარსია, კოლეგურნეები ხ. აბშილავა, ს. სიჭინავა და პედაგოგი დ. ბუკია. მათ შ. დარსაველიძე ჭიდან ამოიყვანეს, ორმელსაც თავიდან სისხლი სდიოდა, მარჯვენა ხელ-ფეხი დაჩეჩილი ჰქონდა. იგი ავტომობილით მეზობელი რაიონის — ცხაკაიას სასწრაფო დახმარებაში ჩაიყვანეს. აქედან კი შ. დარსაველიძე პირველად დახმარების ალმოჩენის შემდეგ რაიონული საავადმყოფოს ქირურგიულ განყოფილებაში მოათავსეს. მკურნალობას ერთი კვირის შემდეგ იგი სამეშოს დაუბრუნდა.

სოფელი მადლიერია ბ. ნარსიასი, ხ. აბშილავასი, ს. სიჭინავასი და დ. ბუკიასი, რომელთა სანრიანი მოქმედებით ადამიანი დახრჩობას გადარჩა.

Ჯ. ᲙᲝᲮᲘᲐ,
გადმა ხაჯიკოს საშუალო სკოლის დირექტორი.

ᲞᲐᲠᲢᲘᲖᲐᲜᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘ

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲧᲐᲘᲛᲔ

ᲠᲔᲙᲘᲐᲕᲘᲙᲘᲐᲨᲘ გაიმართა მსოფლიოს ჩოქბურთელთა ეროვნული ტურნირის სპასუხისა და ჰოლანდიის ... ...